

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის  
2006 წლის 13 დეკემბრის

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე  
პირთა უფლებების კონვენცია

## პრეამბულა

ამ კონვენციის ხელმომწერი ქვეყნები

ა) ითვალისწინებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს, რომლებიც აღიარებენ ადამიანთა მოდგმის ყველა წარმომადგენლის თანდაყოლილ ღირსებასა და ღირებულებას, ასევე მათ თანასწორ და ხელშეუხებელ უფლებებს, როგორც მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობის და საყოველთაო მშვიდობის დამყარების საფუძველს,

ბ) აღიარებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტებში განაცხადა და დაადასტურა ყველა ადამიანის უფლება ისარგებლოს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ამ დოკუმენტებით გათვალისწინებული ყველა უფლებით და თავისუფლებით,

გ) ადასტურებენ ადამიანის ყველა უფლებისა და ფუნდამენტური თავისუფლების უნივერსალურობას, ერთიანობას, ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთკაშირს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ამ უფლებებით დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლობის გარანტირების საჭიროებას,

დ) ეფუძნებიან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტს, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტს, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციას, ქალების დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციას, წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციას, ბავშვთა უფლებების კონვენციას და მიგრანტი მომუშავეების და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციას,

ე) აღიარებენ, რომ შესაძლებლობის შეზღუდვის ცნება დინამიურია და წარმოადგენს ჯანმრთელობის დარღვევის მქონე პირებსა და მათ მიმართ დამოკიდებულებისა და გარემოს დაბრკოლებებს შორის ურთიერთქმედების შედეგს, რაც აფერხებს ამ პირების სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვების თანაბრად.

ვ) აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ მსოფლიო სამოქმედო პროგრამისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტანდარტული წესების მნიშვნელობას, მათი პრინციპებისა და პოლიტიკის განსაზღვრის მიმართულებების გავლენას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტრატეგიების, გეგმების, პროგრამებისა და ღონისძიებების ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე მხარდაჭერას, ჩამოყალიბებასა და შეფასებაზე,

ზ) ხაზს უსვამენ შესაძლებლობის შეზღუდვის პრობლემატიკის აქტუალიზაციის მნიშვნელობას, როგორც მდგრადი განვითარების შესაბამისი სტრატეგიების შემადგენელ ნაწილს .

თ) აგრეთვე აღიარებენ, რომ ნებისმიერი ადამიანის დისკრიმინაცია შესაძლებლობის შეზღუდვის ნიშნით შეურაცხყოფს ადამიანის თანდაყოლილ ღირსებასა და ღირებულებას,

ი) ამასთან, აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მრავალფეროვნებას.

კ) აღიარებენ ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის აუცილებლობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში, მათგან უფრო ინტენსიური თანადგომის საჭიროების მქონეთა ჩათვლით,

ლ) შეშფოთებას გამოთქვამენ, რომ მიუხედავად დოკუმენტებისა და წამოწყებების სიმრავლისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მსოფლიოს ყველა კუთხეში კვლავ აწყდებიან დაბრკოლებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულუფლებიან წევრად მონაწილეობის მცდელობისა და მათი უფლებები კვლავ ირღვევა,

მ) აღიარებენ საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში,

ნ) აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ საერთო კეთილდღეობაში ამჟამად და მომავალში შეტანილ წვლილს და მათი თანამეგობრობების მრავალფეროვნებას და ადასტურებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებებით შეუზღუდავი სარგებლობის ხელშეწყობა ისევე, როგორც მათი ფართო მონაწილეობა, განამტკიცებს მათში საზოგადოების წევრობის გრძნობას და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოების ადამიანურ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის აღმოფხვრას,

ო) აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის პირადი ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მნიშვნელობას, საკუთარი არჩევნის თავისუფლად გაკეთების ჩათვლით,

პ) მიაჩნიათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ პოლიტიკის და პროგრამების შემუშავებისას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა,, მათ შორის მაშინ, როცა აღნიშნული მათ უშუალოდ ეხებათ,

ჟ) შეშფოთებას გამოთქვამენ იმ სიძნელების გამო, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აწყდებიან მათი სხვადასხვა ან დამძიმებული ფორმებით დისკრიმინაციისას რასობრივი, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, ავტოქთონური თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების, ასაკის თუ სხვა ნიშნით.

რ) აღიარებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და გოგონებს, საკუთარ ოჯახში ან მის გარეთ, ძალადობის, ფიზიკური ხელყოფის, დამცირების, აბუჩად აგდების, ცუდად მოპყრობისა ან ექსპლუატაციის უფრო მეტი საშიშროება ემუქრებათ,

ს) აღიარებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, სხვა ბავშვების თანასწორად სრულად უნდა სარგებლობდნენ ადამიანის ყველა უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით, და ბავშვთა უფლებების კონვენციის ხელმომწერ წევრ სახელმწიფოებს შეახსენებენ ამასთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ტ) ხაზს უსვამენ სქესთა შორის თანასწორობის პრინციპის გათვალისწინების აუცილებლობას ყველა იმ წამოწყებაში, რომელიც მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სრულად სარგებლობის ხელშემწყობისაკენ,

უ) ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უმრავლესობა სიღარიბეში ცხოვრობს და ამასთან დაკავშირებით აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე სიღარიბის უარყოფითი გავლენის დაძლევის აუცილებლობას.

ფ) აცნობიერებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სრული დაცვისათვის აუცილებელია მშვიდობიანი და უსაფრთხო პირობები, რომლებიც დაფუძნებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დებულების პრინციპებისა და მიზნების სრულად აღიარებაზე და ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების პატივისცემაზე, განსაკუთრებით შეიარაღებული კონფლიქტისა და უცხოური ოკუპაციის პირობებში,

ქ) აღიარებენ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული გარემოს, ჯანდაცვისა და განათლების, ასევე ინფორმაციისა და კომუნიკაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას, რაც მათ საშუალებას აძლევს სრულყოფილად ისარგებლონ ადამიანის ყველა უფლებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით,

ღ) აცნობიერებენ, რომ თითოეული ადამიანი, სხვა პირებისა და საზოგადოების მიმართ არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, მოვალეა, ყველაფერი იღონოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ქარტილაში აღიარებული ადამიანის უფლებების დასაცავად.

ყ) გამოთქვამენ რწმენას, რომ ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი ერთეულია და აქვს უფლება, დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ და რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ოჯახის წევრები უნდა იღებდნენ საჭირო დახმარებას და იყვნენ სათანადოდ დაცულნი, რათა ოჯახებმა ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი უფლებებით სრულ და თანასწორ სარგებლობას,

შ) გამოთქვამენ რწმენას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებისა და ღირსების მხარდაჭერისა და დაცვის სრული და საყოველთაო საერთაშორისო კონვენცია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამ პირების მიმართ არსებული სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრაში და ხელს შეუწყობს, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში, მათ მონაწილეობას, თანასწორი შესაძლებლობების

პირობებში, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## **მუხლი 1** **მიზანი**

წინამდებარე კონვენციის მიზანია, ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ადამიანის ყველა უფლებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სრულყოფილ და თანასწორ სარგებლობას და მათი თანდაყოლილი ღირსების პატივისცემას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან ადამიანები ხანგრძლივი ფიზიკური, მენტალური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით რომლებმაც სხვადასხვა დაბრკოლებებთან ურთიერთქმედებისას შეიძლება ხელი შეუშალოს. ამ პირთა სხვების თანასწორად სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

## **მუხლი 2** **ტერმინთა განმარტება**

ამ კონვენციის მიზნებისთვის:

“კომუნიკაცია” მოიცავს ენებს, აფიშირებულ ტექსტს, ბრაილს, ტაქტილურ კომუნიკაციას, მსხვილ შრიფტს, ხელმისაწვდომ მულტიმედიას, აგრეთვე წერით ან აუდიო საშუალებებს, გამარტივებულ ენას, წამკითხველ პირს და კომუნიკაციის გამაძლიერებელ და ალტერნატიულ მეთოდებს, საშუალებებსა და ფორმატებს, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების ჩათვლით;

“ენა” მოიცავს სალაპარაკო და ნიშნების ენებს და არასალაპარაკო ენის სხვა ფორმებს;

“შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია” გულისხმობს ყველანაირ განსხვავებას, გამორიცხვას ან შეზღუდვას, რომლის მიზანი ან შედეგია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან სხვა სფეროებში, ადამიანის ყველა უფლების და ფუნდამენტური თავისუფლების სხვების თანასწორად, ცნობის, რეალიზების ან სარგებლობის ხელის შეშლა ან მათი უარყოფა. შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმის ჩათვლით;

“გონივრული მისადაგება” გულისხმობს საჭირო და შესაბამისი ცვლილებების და შესწორებების შეტანას, მოცემული გარემოების საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც არ იქცევიან დისპროპორციულ ან არააუცილებელ ტვირთად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ სხვებთან თანასწორად ადამიანის ყველა უფლებით და ფუნდამენტური თავისუფლებით სარგებლობის ან მათი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით;

“უნივერსალური დიზაინი” გულისხმობს ისეთი პროდუქტების, მოწყობილობების, პროგრამების და მომსახურებების შექმნას, რომელთა გამოყენებასაც ყველა შეძლებს, ყველანაირ პირობებში, ადაპტაციის ან სპეციალური დიზაინის გამოყენების საჭიროების გარეშე. “უნივერსალური დიზაინი” არ გამორიცხავს დამხმარე საშუალებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განსაკუთრებული კატეგორიებისთვის მაშინ, როცა ეს აუცილებელია.

### **მუხლი 3**

#### **ზოგადი პრინციპები**

ამ კონვენციის პრინციპებია:

- ა) ადამიანის თანდაყოლილი ღირსებისა და მისი ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემა, საკუთარი არჩევნის გაკეთების თავისუფლებისა და პიროვნების დამოუკიდებლობის ჩათვლით;
- ბ) არადისკრიმინაცია;
- გ) საზოგადოებაში სრული და ეფექტური ინტეგრაცია;
- დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განსხვავებულობის პატივისცემა და ადამიანებისა და კაცობრიობის მრავალფეროვნების გამოხატულების ნაწილად მათი აღიარება;
- ე) შესაძლებლობათა თანასწორობა;
- ვ) ხელმისაწვდომობა;
- ზ) მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობა;
- თ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის უნარების განვითარებისა და საკუთარი ინდივიდუალურობის შენარჩუნების უფლების პატივისცემა.

### **მუხლი 4**

#### **ზოგადი ვალდებულებები**

1. წევრი-სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ, შესაძლებლობების შეზღუდვაზე დაფუძნებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ადამიანის ყველა უფლებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სრულ სარგებლობას. ამ მიზნით ისინი ვალდებულებას იღებენ, რომ:

- ა) მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ან სხვა ზომა ამ კონვენციით აღიარებული ყველა უფლების უზრუნველსაყოფად;
- ბ) მიიღონ ყველა საჭირო ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, რათა შეცვალონ, ან გააუქმონ კანონები, დადგენილებები, ადათები და პრაქტიკები, რომლებიც დისკრიმინაციულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ;
- გ) ყველა პოლიტიკასა და პროგრამაში გაითვალისწინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა;
- დ) თავი შეიკავონ ყველა ქმედებისა და პრაქტიკისგან, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე კონვენციასთან და უზრუნველყონ, რომ სახელმწიფო უწყებების და ინსტიტუტების საქმიანობა შეესაბამებოდეს წინამდებარე კონვენციას;

ე) მიიღონ ყველა საჭირო ზომა ყველა პიროვნების, ორგანიზაციისა ან კერძო საწარმოს მხრიდან შესაძლებლობების შეზღუდვაზე დაფუძნებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;

ვ) განახორციელოს ან ხელი შეუწყოს წინამდებარე კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული უნივერსალური დიზაინის პროდუქტების, მომსახურებების, მოწყობილობების და დანადგარების კვლევებს (გამოგონებასა) და განვითარებას, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ გამოყენებისათვის მინიმალურ ადაპტაციას და ხარჯებს მოითხოვს, ხელი შეუწყონ ამ პროდუქტების, მომსახურებების, მოწყობილობების და ინსტალაციების ხელმისაწვდომობას, გამოყენებას და უნივერსალური დიზაინის ჩართვას სტანდარტებსა და გაიდლაინების (დირექტივების) ჩამოყალიბების პროცესში;

ზ) განახორციელოს ან ხელი შეუწყოს კვლევების ჩატარებას და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების განვითარებას - ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, გადაადგილების დამხმარე საშუალებებისა და მოწყობილობების ჩათვლით, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის იქნება ადაპტირებული, ხელმისაწვდომი ღირებულების ტექნოლოგიებისათვის უპირატესობის მინიჭებით;

თ) უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ინფორმაციით გადაადგილების დამხმარე საშუალებების, მოწყობილობების და ტექნოლოგიების (ახალი ტექნოლოგიების ჩათვლით) შესახებ ისევე, როგორც ინფორმაციით ხელშეწყობის სხვა ფორმების, მომსახურებისა და მოწყობილობების თაობაზე;

ი) ხელი შეუწყონ პროფესიონალებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე პერსონალის დახელოვნებას წინამდებარე კონვენციით აღიარებული უფლებების კუთხით, რათა გააუმჯობესონ ამ უფლებებით გარანტირებული დახმარებების და მომსახურებების გაწევა.

2. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შემთხვევაში ყოველი წევრი სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს ზომები, მის ხელთ არსებული საშუალებების მაქსიმალური გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს საერთაშორისო თანამშრომლობას, ამ უფლებებით სრული სარგებლობის თანდათან უზრუნველყოფის მიზნით, წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული იმ ვალდებულებების გარდა, რომლებიც, საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შესრულებული.

3. წინამდებარე კონვენციის ცხოვრებაში გატარების მიზნით კანონებისა და პოლიტიკის დოკუმენტთა შემუშავებისა და განხორციელების დროს ისევე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას, წევრმა სახელმწიფოებმა მჭიდრო კონსულტაციები უნდა გაიარონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, მათ შორის ბავშვებთან, რომლებსაც მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით აქტიური მონაწილეობა უნდა მიაღებინონ ამ პროცესებში.

4. წინამდებარე კონვენციის ვერც ერთი დებულება გავლენას ვერ მოახდენს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის ან ამ სახელმწიფოში მოქმედი საერთაშორისო სამართლის დებულებებზე, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის უკეთეს პირობებს ითვალისწინებს. დაუშვებელია წევრ სახელმწიფოში კანონის, კონვენციების,

წესებისა ან ადათების საფუძველზე აღიარებული ან მოქმედი ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების ყოველგვარი შეზღუდვა ან მათი ნაწილობრივი გაუქმება იმ საბაზით, რომ წინამდებარე კონვენცია არ ცნობს ამ უფლებებსა და თავისუფლებებს ან მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებს მათ.

5. ფედერალური სახელმწიფოს ყველა შემადგენელ ერთეულში წინამდებარე კონვენციის დებულებები მოქმედებს ყოველგვარი შეზღუდვისა და გამონაკლისის გარეშე.

## **მუხლი 5**

### **თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის აკრძალვა**

1. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ კანონის წინაშე და მის თანახმად ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია და ყველას ერთნაირად, დისკრიმინაციის გარეშე, აქვს უფლება, დაცული იყოს და ისარგებლოს კანონით.

2. წევრი სახელმწიფოები კრძალავენ შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებულ ყველანაირ დისკრიმინაციას და ამ უკანასკნელის საფუძველის მიუხედავად, უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვების თანაბრად, მისგან ეფექტური იურიდიული დაცვით.

3. თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები გონივრული მისადაგების დასაწერად.

4. კონკრეტული ზომები, რომელთა მიღებაც აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფაქტობრივი თანასწორუფლებიანობის დასაჩქარებლად ან მისაღწევად, არ განიხილება დისკრიმინაციად ამ კონვენციის თვალსაზრისით.

## **მუხლი 6**

### **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები**

1. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები მრავალგვარი დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან და მათ მიერ ადამიანის უფლებებით და ყველა ფუნდამენტური თავისუფლებით თანასწორუფლებიანი სარგებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება.

2. წევრმა სახელმწიფოებმა ყველა შესაბამის ზომებს უნდა მიმართონ ქალების სრულყოფილი განვითარების, წინსვლის, დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და მათთვის ამ კონვენციით გამყარებული ადამიანის უფლებებითა და ყველა ფუნდამენტური თავისუფლებით თანასწორად სარგებლობის გარანტირებისათვის.

## **მუხლი 7**

### **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები**



1. წევრმა სახელმწიფოებმა ყველა ზომებს უნდა მიმართონ, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიერ ადამიანის უფლებებითა და ყველა ფუნდამენტური თავისუფლებით სხვა ბავშვების თანასწორად სარგებლობა.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების უმთავრესი ამოცანა ბავშვის უზენაესი ინტერესის გათვალისწინებაა.

3. წევრმა სახელმწიფოებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის, სხვა ბავშვების თანასწორად უნდა უზრუნველყონ, ერთის მხრივ, მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლების რეალიზება, რომლის გათვალისწინებაც მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად მოხდება და მეორეს მხრივ, მისი ასაკიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დახმარება ამ უფლების განხორციელებაში.

## **მუხლი 8**

### **საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მუშაობა**

1. წევრი სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, მიმართონ დაუყოვნებლივ ზომებს, რათა:

ა) აამაღლონ საზოგადოების ცოდნა, მათ შორის ოჯახის დონეზეც, შესაძლებლობის შეზღუდვის საკითხებზე და გააღრმავონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ღირსებისადმი პატივისცემა;

ბ) ყველა სფეროში ებრძოლონ სტერეოტიპებს, ცრურწმენებს და მავნე ადათ-წესებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში, სქესთან და ასაკთან დაკავშირებულების ჩათვლით;

გ) უფრო ფართოდ გაავრცელონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უნარ-ჩვევების და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

2. ამ მიზნების მისაღწევად გამოყენებული ზომები მოიცავს:

ა) საზოგადოების შემეცნებითი კამპანიის წამოწყებასა და გატარებას, რათა ხელი შეეწყოს:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაცნობიერებას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ კეთილგანწყობას და ამ საკითხში სოციალური შეგნების ამაღლებას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უნარ-ჩვევების, დამსახურებებისა და შესაძლებლობის აღიარებას და მათ მონაწილეობას დასაქმების ადგილზე და შრომის ბაზარზე.

ბ) განათლების ყველა დონეზე, კერძოდ კი მცირეწლოვან ბავშვებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისთვის ანგარიშის გაწევის ხელშეწყობას;

გ) ყველა მედია საშუალებისთვის მხარდაჭერას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ამ კონვენციის მიზნების შესაბამისი კუთხით წარმოსაჩენად;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი უფლებების გაცნობიერებისათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამების მხარდაჭერას.

## მუხლი 9

### ხელმისაწვდომობა

1. იმისთვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დამოუკიდებლად არსებობისა და ცხოვრების ყველა სფეროში სრულყოფილი მონაწილეობის საშუალება მიეცეთ, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ ყველა შესაბამის ზომას, რათა მათთვის უზრუნველყონ, სხვების თანასწორად, ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, ტექნოლოგიური სისტემების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ჩათვლით, საზოგადოებისთვის განკუთვნილი სხვა მოწყობილობებისა და მომსახურებების ხელმისაწვდომობა, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში. ეს ზომები, რომლებიც ასევე მოიცავენ დაბრკოლებებისა გამოაშკარავებასა და აღმოფხვრას, შეეხება:

ა) შენობა-ნაგებობებს, გზებს, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა შიდა თუ გარე აღჭურვილობებს, სკოლების, საცხოვრებლების, სამედიცინო დაწესებულებებისა და სამუშაო ადგილების ჩათვლით.

ბ) ინფორმაციის, კომუნიკაციისა და სხვა სამსახურებს, ელექტრონული და საგანგებო სამსახურების ჩათვლით.

2. ამას გარდა, წევრი სახელმწიფოები მიმართავენ შესაბამის ზომებს, რათა:

ა) შეიმუშაონ და მიიღონ საზოგადოებისთვის ღია მომსახურებების და მოწყობილობების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მინიმალური ეროვნული ნორმები და დირექტივები და თვალყური ადევნონ მათ შესრულებას;

ბ) უზრუნველყონ საზოგადოებისათვის ღია მომსახურებებისა და მოწყობილობების შემთავაზებელი კერძო ორგანიზაციების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ამ მომსახურებებისა და მოწყობილობების ხელმისაწვდომობის გათვალისწინება;

გ) ხელი შეუწყონ შესაბამისი ორგანიზაციების მიერ იმ დაბრკოლებების შესწავლას, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აწყდებიან;

დ) შენობა-ნაგებობებსა და სხვა საზოგადოებისთვის ღია მოწყობილობებში განათავსონ ბრაილის შრიფტით ან სხვა ადვილად წასაკითხი და გასაგები ფორმით შესრულებული ტრაფარეტები;

ე) უზრუნველყონ დამხმარე ადამიანების ან ცხოველების, ასევე მედიატორების, კერძოდ კი პროფესიონალი მეგზურების, წამკითხველებისა და სურდო-თარჯიმნებით მომსახურება, რათა ხელმისაწვდომი გახადონ შენობა-ნაგებობები და საზოგადოებისთვის ღია სხვა მოწყობილობები.

ვ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ხელი შეუწყონ დახმარებისა და თანხლების სხვა ფორმების დანერგვას;

ზ) უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების ხელმისაწვდომობა, ინტერნეტის ჩათვლით;

თ) მინიმალურ ღირებულებებში, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საწყის ეტაპზე შეუწყონ ხელი ინფორმაციის სისტემებისა და ტექნოლოგიების შემუშავებას, დანერგვას, წარმოებასა და გავრცელებას.

## **მუხლი 10**

### **სიცოცხლის უფლება**

წევრი სახელმწიფოები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ სიცოცხლე ყველა ადამიანის თანდაყოლილი უფლებაა და იღებენ ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ამ უფლებით ეფექტურად სარგებლობა სხვებთან თანასწორად.

## **მუხლი 11**

### **სარისკო და საგანგებო ჰუმანიტარული სიტუაციები**

წევრი სახელმწიფოები, საერთაშორისო სამართლით, მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლითა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, იღებენ ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა და უსაფრთხოება სარისკო სიტუაციებში, შეიარაღებული კონფლიქტების, საგანგებო ჰუმანიტარული სიტუაციებისა და სტიქიური უბედურებების ჩათვლით.

## **მუხლი 12**

### **კანონის წინაშე თანასწორობა**

1. წევრი სახელმწიფოები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ყველგან აქვთ უფლება სამართლის სუბიექტად აღიარებაზე.

2. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქმედუნარიანობას სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, ცხოვრების ყველა სფეროში .

3. წევრი სახელმწიფოები იღებენ სათანადო ზომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რომელიც შეიძლება დასჭირდეთ თავიანთი ქმედუნარიანობის განხორციელებისას.

4. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ქმედუნარიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ზომა ითვალისწინებდეს შესაბამის ეფექტურ გარანტიებს მათი ბოროტად გამოყენების აღკვეთის მიზნით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. ეს გარანტიები უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ქმედუნარიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ზომები აღიარებს პირის უფლებებს, ნებას და არჩევანს, თავისუფალია ინტერესთა კონფლიქტისა და არასათანადო გავლენისაგან, შეესაბამება პირის მდგომარეობას, მიიღება შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში და რეგულარულად გადაისინჯება კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლოს მიერ. ეს გარანტიები უნდა იყოს პირის უფლებებისა და ინტერესების ხელმყოფი ზომების პროპორციული.

5. ამ მუხლის დებულებების გათვალისწინებით წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა სათანადო და ეფექტურ ზომას, რომ უზრუნველყონ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანაბარი უფლება საკუთრების ფლობაზე ან მემკვიდრეობით მიღებაზე,

საკუთარი ფინანსური საქმეების მართვაზე და საბანკო სესხების, იპოთეკებისა და ფინანსური კრედიტების სხვა ფორმების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე და უზრუნველყოფენ, რომ არ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საკუთრების თვითნებურად ჩამორთმევა.

### **მუხლი 13**

#### **მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა**

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მართლმსაჯულების ეფექტურ ხელმისაწვდომობას სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, მათ შორის, პროცედურული და ასაკთან შესაბამისი პირობების შექმნით, ყველა სამართალწარმოებაში, გამოძიებისა და სხვა წინასწარი სტადიის ჩათვლით, მათი პირდაპირი და არაპირდაპირი, მათ შორის მოწმის სტატუსით, ეფექტური მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში მომუშავე პირების, მათ შორის პოლიციისა და ციხეების თანამშრომლების შესაბამის მომზადებას.

### **მუხლი 14**

#### **პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება**

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე:

ა) ისარგებლონ პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებით;

ბ) არ მოხდეს მათთვის თავისუფლების უკანონოდ ან თვითნებურად აღკვეთა, რომ ნებისმიერი სახის თავისუფლების აღკვეთა იყოს კანონთან შესაბამისობაში და შეზღუდული შესაძლებლობები არცერთ შემთხვევაში არ წარმოადგენდეს თავისუფლების აღკვეთის საფუძველს.

2. რაიმე სახის პროცედურის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მათთვის გარანტიების, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად და მათ მიმართ ამ კონვენციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად მოპყრობას, გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ჩათვლით.

### **მუხლი 15**

**წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან სასჯელისგან თავისუფლება**

1. არავინ უნდა გახდეს წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი. კერძოდ, არავიზე უნდა ჩატარდეს სამედიცინო თუ სამეცნიერო ექსპერიმენტები მისი ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე.

2. წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა ეფექტურ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სასამართლო თუ სხვა ზომას, რათა დაიცვან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ სასჯელისაგან, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.

## **მუხლი 16**

### **ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან თავისუფლება**

1. წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა სათანადო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ, საგანმანათლებლო და სხვა ზომას, რათა დაიცვან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, როგორც შინ, ასევე გარეთ, ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის ყველა ფორმისგან, სქესობრივი დისკრიმინაციის ჩათვლით.

2. წევრი სახელმწიფოები ასევე იღებენ ყველა სათანადო ზომას ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის ყველა ფორმის პრევენციის მიზნით, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათი ოჯახებისა და მომვლელებისათვის, სქესისა და ასაკის გათვალისწინებით, სათანადო ფორმის დახმარებისა და ხელშეწყობის გზით, ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის შემთხვევების თავიდან აცილების, გამოვლენის და გახმაურების შესახებ ინფორმაციისა და განათლების მიწოდების ჩათვლით. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ დაცვის სამსახურები ითვალისწინებდეს ასაკს, სქესსა და შეზღუდულ შესაძლებლობებს.

3. ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის ყველა ფორმის თავიდან აცილების მიზნით წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილ ყველა მოწყობილობასა და პროგრამას ეფექტურად ზედამხედველობდეს დამოუკიდებელი უწყებები.

4. წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, დაცვის სამსახურებით უზრუნველყოფის ჩათვლით, იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფიზიკური, შემეცნებითი და ფსიქოლოგიური გამოჯანმრთელების, რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, რომლებიც ექსპლუატაციის, ძალადობისა თუ შეურაცხყოფის ნებისმიერი ფორმის მსხვერპლნი არიან. მსგავსი გამოჯანმრთელება და რეინტეგრაცია უნდა განხორციელდეს გარემოში, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, საკუთარი თავის პატივისცემას, ღირსებასა და ავტონომიას და რომელშიც გათვალისწინებულია გენდერული და ასაკობრივი მოთხოვნები.

5. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ ეფექტური კანონმდებლობა და პოლიტიკა, ქალებისა და ბავშვებისათვის განკუთვნილი კანონმდებლობისა და პოლიტიკის ჩათვლით, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ექსპლუატაციის, მათზე ძალადობისა და შეურაცხყოფის შემთხვევების გამოვლენა, გამოძიება და საჭიროების შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა.

## **მუხლი 17**

### **პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა**

ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს მისი ფიზიკური ან მენტალური ხელშეუხებლობის პატივისცემა უფლება სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.

## **მუხლი 18**

### **გადაადგილების თავისუფლება და მოქალაქეობა**

1. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილისა და მოქალაქეობის თავისუფლად არჩევის უფლებას სხვებთან თანასწორ საფუძველზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უზრუნველყოფენ:

ა) მოქალაქეობის მიღებისა და შეცვლის უფლებას და უკანონოდ ან შეზღუდული შესაძლებლობის საბაზით მოქალაქეობის ჩამორთმევისაგან დაცვას;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის საბაზით მოქალაქეობის ან სხვა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების, ფლობისა და გამოყენების ან თავისუფალი გადაადგილების უფლების განხორციელებისთვის აუცილებელი იმიგრაციისა და სხვა მსგავსი პროცედურების გამოყენების საშუალების უკანონოდ ჩამორთმევისაგან დაცვას;

გ) ნებისმიერი, მათ შორის საკუთარი ქვეყნის დატოვების უფლებას;

დ) საკუთარ ქვეყანაში შესვლის უფლების უკანონოდ ან შეზღუდული შესაძლებლობის საბაზით ჩამორთმევისგან დაცვას.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების რეგისტრაცია უნდა მოხდეს დაბადებისთანავე და მათ დაბადებისთანავე უნდა ჰქონდეთ სახელის, მოქალაქეობისა და შესაძლებლობის ფარგლებში, მშობლების ვინაობის ცოდნისა და მათი მხრიდან მზრუნველობის უფლება.

## **მუხლი 19**

### **დამოუკიდებლად ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა**

ამ კონვენციის ხელმომწერი წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის თანაბარ უფლებას სხვებთან თანასწორი არჩევანით იცხოვრონ საზოგადოებაში და იღებენ ყველა ეფექტურ და სათანადო ზომას, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაუადვილონ ამ უფლებით სრული სარგებლობა და ხელი შეუწყონ საზოგადოებაში მათ სრულ ინტეგრაციასა და მონაწილეობას, მათ შორის უზრუნველყონ, რომ:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვებთან თანასწორობის საფუძველზე საშუალება ჰქონდეთ, აირჩიონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი და სად და ვისთან ერთად იცხოვრონ და არ იყვნენ იძულებული, დასახლდნენ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ბინაზე, ინსტიტუციური თუ სხვა მომსახურების ფართო სპექტრი, მათ შორის ცხოვრების წესის მხარდაჭერის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმისთვის და საზოგადოებისაგან

იზოლაციის ან განცალკევების პრევენციისათვის აუცილებელი ინდივიდუალური დახმარება;

გ) საერთო მოხმარებისთვის განკუთვნილი საზოგადოებრივი მომსახურება და მოწყობილობები ხელმისაწვდომი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სხვებთან თანასწორობის საფუძველზე და შეესაბამებოდეს მათ მოთხოვნებს.

## **მუხლი 20**

### **ინდივიდუალური მობილურობა**

წევრი სახელმწიფოები იღებენ ეფექტურ ზომებს, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მაქსიმალურად დამოუკიდებელი ინდივიდუალური მობილურობა, მათ შორის:

ა) ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალურ მობილურობას მათთვის სასურველ პირობებისა და დროის გათვალისწინებით და ხელმისაწვდომ ფასში;

ბ) ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხარისხიანი გადასაადგილებელი საშუალებების, მოწყობილობების, დამხმარე ტექნოლოგიებისა და დამხმარე პერსონალის ხელმისაწვდომობას ზომიერ ფასში;

გ) უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათთან მომუშავე სპეციალიზებული პერსონალის გადაადგილების უნარ-ჩვევებში მომზადება;

დ) მხარი დაუჭირონ გადასაადგილებელი საშუალებების, მოწყობილობების და დამხმარე ტექნოლოგიების მწარმოებელი ორგანიზაციების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაადგილების ყველა ასპექტის გათვალისწინებას.

## **მუხლი 21**

### **აზრისა და შეხედულები გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

წევრი სახელმწიფოები ყველა სათანადო ზომას იღებენ, რათა სხვებთან თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ აზრისა და შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღებისა და გადაცემის თავისუფლების ჩათვლით, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე და თავიანთი შეხედულებისამებრ შერჩეული კომუნიკაციის ყველა იმ საშუალების გამოყენებით, რომლებიც წინამდებარე კონვენციის მე-2 მუხლითაა განსაზღვრული. ამ მიზნის მისაღწევად წევრი სახელმწიფოები:

ა) დაყოვნებისა და დამატებითი ხარჯების გარეშე უზრუნველყოფენ ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მიწოდებას მათთვის გასაგებ ფორმით და სხვადასხვა სახის შესაძლებლობის შეზღუდვაზე მორგებული ტექნოლოგიების საშუალებით;

ბ) ოფიციალური ურთიერთობისას, შესაძლებელს ხდიან და ხელს უწყობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ, საკუთარი არჩევნით, ჟესტების ენის, ბრაილის შრიფტის, გამაძლიერებელი და ალტერნატიული კომუნიკაციისა და სხვა ხელმისაწვდომი ფორმების, მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებას;

გ) ფართო საზოგადოებისათვის მომსახურების განმახორციელებელ კერძო ორგანიზაციებს, ინტერნეტ-მომწოდებელთა ჩათვლით, აქტიურად მოუწოდებენ

ინფორმაციისა და მომსახურების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომი და გამოყენებადი ფორმით მიწოდებას;

დ) მოუწოდებენ მედიას, ინტერნეტის მეშვეობით ინფორმაციის მიმწოდებელთა ჩათვლით, უზრუნველყონ თავიანთი მომსახურების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობა ;

ე) აღიარებენ და ხელს უწყობენ ჟესტების ენის გამოყენებას.

## **მუხლი 22**

### **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა**

1. არცერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა ან პირობებისა, არ უნდა გახდეს მის პირად ან ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებელში, მიმოწერასა თუ სხვა სახის კომუნიკაციაში თვითნებური და უკანონო ჩარევის მსხვერპლი ან განიცადოს მისი ღირსების ან რეპუტაციის უკანონო ხელყოფა . შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ კანონის მიერ იყონ დაცულნი მსგავსი ჩარევებისა და ხელყოფისაგან.

2. წევრი სახელმწიფოები იცავენ, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირად მონაცემებთან, ჯანმრთელობასთან ან რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას.

## **მუხლი 23**

### **საცხოვრებლისა და ოჯახური ცხოვრების პატივსცემა**

1. წევრი ქვეყნები ყველა ეფექტურ და ქმედით ზომას იღებენ, რათა აღმოფხვრან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაცია ქორწინებასთან, ოჯახურ ცხოვრებასთან, მშობლის ფუნქციებთან და პირად ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებში, რათა უზრუნველყონ:

ა) ქორწინების ასაკში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება დაქორწინებასა და საკუთარი ოჯახის შექმნაზე ორივე მეუღლის თავისუფალი და გაცნობიერებული თანხმობის საფუძველზე;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება შვილების რაოდენობისა და მათ დაბადებას შორის ინტერვალების თავისუფლად და პასუხისმგებლობით გადაწყვეტაზე, ასევე რეპროდუქციის და ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მათი ასაკისათვის შესაფერისი ინფორმაციისა და განათლების მიღებაზე. წევრი სახელმწიფოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ამ უფლებების განხორციელებისათვის შესაბამის დახმარებას აღმოუჩენენ;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის ბავშვების მიერ, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე ფერტილობის შენარჩუნება.

2. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება-მოვალეობების განხორციელებას ბავშვებზე მეურვეობის, მზრუნველობის, მათი შენახვის, შვილად აყვანისა და სხვა მსგავს საკითხებში, ამ ცნებების შიდა სამართალში არსებობის შემთხვევაში; ყველა შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ბავშვის ინტერესებს. წევრმა სახელმწიფოებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს,



შვილების აღზრდასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების განხორციელების საკითხებში, შესაბამისი დახმარება უნდა აღმოუჩინონ.

3. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ოჯახში ცხოვრების უფლების სხვებთან თანასწორობის საფუძველზე განხორციელებას. ამ უფლების განხორციელებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დამალვის, მიტოვების, მზრუნველობის მოკლებისა და შევიწროების პრევენციის მიზნით, წევრი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას ამ ბავშვებისა და მათი ოჯახების წინასწარი და ამომწურავი ინფორმირება, მხარდაჭერა და მომსახურება.

4. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები არ იქნან დაცილებულნი მშობლებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლოს კონტროლის ქვეშ, მოქმედი კანონმდებლობისა და პროცედურების შესაბამისად, გადაწყვეტენ, რომ ამგვარი დაცილება ბავშვის ინტერესების დაცვას ემსახურება. არცერთ შემთხვევაში ბავშვის მშობლებისაგან მოცილების მიზეზი არ უნდა იყოს მისი ან მისი მშობლის თუ მშობლების შესაძლებლობის შეზღუდვა.

5. წევრი სახელმწიფოები ყველა სათანადო ზომას იღებენ, რათა იმ შემთხვევაში, როცა ოჯახი ვერ ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვზე, უზრუნველყონ ბავშვზე ალტერნატიული ზრუნვა, სანათესაოში, ხოლო ასეთის შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში, სხვაგვარად უზრუნველყონ ბავშვის ოჯახურ გარემოში მოვლა-პატრონობა.

## **მუხლი 24** **განათლება**

1. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას განათლების მიღებაზე. ამ უფლებით დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანასწორობის საფუძველზე სარგებლობის უზრუნველსაყოფად, წევრმა სახელმწიფოებმა ყველა საფეხურზე უნდა დანერგონ განათლების ინკლუზიური სისტემა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების შესაძლებლობა, რაც ემსახურება:

ა) პიროვნების პოტენციალის სრულად გამოვლენასა და ღირსებისა და საკუთარი თავის პატივისცემის გაღვივებას, ადამიანის უფლებების, ფუნდამენტური თავისუფლებებისა და ადამიანური მრავალფეროვნების პატივისცემის განმტკიცებას;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი პიროვნების, ნიჭისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავისუფალ საზოგადოებაში სრულყოფილ მონაწილეობას.

2. ამ უფლებების განხორციელების დროს წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ:

ა) შესაძლებლობის შეზღუდვის საბაზით არ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარიყვა განათლების საერთო სისტემიდან და შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე ბავშვები ამავე მიზეზით არ გამოეთიშონ დაწყებითი ან საშუალო სავალდებულო უფასო განათლების სისტემას;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათ საცხოვრებელ ადგილზე და სხვებთან თანასწორ პირობებში, მიუწვდებოდეთ ხელი ინკლუზიურ, ხარისხიან და უფასო დაწყებით განათლებასა და საშუალო განათლებაზე;

გ) ინდივიდუალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით განხორციელდეს გონივრული მოწყობა;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა ისარგებლონ, განათლების საერთო სისტემის ფარგლებში, მათი განათლების ხელშეწყობისათვის აუცილებელი თანადგომით;

ე) დაინერგოს დახმარების ეფექტური ინდივიდუალური ზომები აკადემიური მოსწრებისა და სოციალური განვითარების მაქსიმალურად ხელშემწობ გარემოში, სრული ინტეგრაციის მიზანთან შესაბამისობაში.

3. წევრი სახელმწიფოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშუალებას აძლევენ, შეიძინონ განათლების სისტემასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და თანასწორი მონაწილეობისათვის აუცილებელი პრაქტიკული და სოციალური უნარ-ჩვევები. ამ თვალსაზრისით წევრი სახელმწიფოები შესაბამის ზომებს იღებენ, მათ შორის:

ა) აადვილებენ ბრაილის შრიფტის, ალტერნატიული დამწერლობის, კომუნიკაციის გაუმჯობესებული და ალტერნატიული ფორმების, მეთოდებისა და საშუალებების შესწავლას, ორიენტაციისა და გადაადგილების უნარ-ჩვევების შეძენას, ასევე კოლეგიალური მხარდაჭერისა და კურატორობის დანერგვას;

ბ) აადვილებენ ქესტების ენის შესწავლასა და სმენადაქვეითებულთა საზოგადოების ენობრივი კუთვნილების ხელშეწყობას;

გ) თვალყურს ადევნებენ, რომ უსინათლოებმა, სმენადაქვეითებულებმა ან სმენა და მხედველობადაქვეითებულებმა, განსაკუთრებით კი ბავშვებმა, განათლება მიიღონ იმ ენაზე და კომუნიკაციის იმ ფორმებით თუ საშუალებებით, რომლებიც ყველაზე მეტად შეეფერება თითოეულ მათგანს და ისეთ გარემოში, რომელიც ყველაზე მეტად განაპირობებს აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ განვითარებას.

4. ამ უფლების განხორციელების ხელშესაწყობად, წევრი სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას იღებენ, რათა დაიქირავონ მასწავლებლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მასწავლებლების ჩათვლით, რომლებიც კვალიფიცირებულები იქნებიან ქესტების ენაში და/ან ბრაილის შრიფტში და შეეძლებათ განათლების სისტემის ყველა დონეზე მომუშავე პროფესიონალისა და კადრების მომზადება, რაც მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობების კუთხით ცნობიერების ამაღლებასა და კომუნიკაციის გაუმჯობესებული და ალტერნატიული ფორმების, მეთოდებისა და საშუალებების, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ადაპტირებული პედაგოგიური მასალის გამოყენებას.

5. წევრი სახელმწიფოები თვალყურს ადევნებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ საშუალება, მიიღონ სრული საშუალო განათლება, გაიარონ პროფესიული მომზადება, უფროსებისათვის განკუთვნილი კურსები და რეგულარული ფორმაცია. ამ მიზნით ისინი უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საჭირო გონივრულ მოწყობას.

## მუხლი 25

### ჯანმრთელობა

წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შშმ პირების უფლებას, შეზღუდულ შესაძლებლობებზე დაფუძნებული დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლონ ჯანმრთელობის დაცვის მაქსიმალურად მისაღწევი სტანდარტებით. ამ მიზნით ისინი ყველა ზომას მიმართავენ შშმ პირებისთვის შესაძლებელი იყოს სქესობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებული სამედიცინო მომსახურების გაწევა, რეადაპტაციის ღონისძიებების ჩათვლით. კერძოდ, წევრი სახელმწიფოები:

ა) შშმ პირებისათვის უზრუნველყოფენ იმავე ხარისხისა და სტანდარტების უფასო ან მისაწვდომ სამედიცინო მომსახურებას, რაც გათვალისწინებულია სხვებისათვის, სქესობრივი და გენეტიკური ავადმყოფობებისა და სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების ჩათვლით;

ბ) შშმ პირებისათვის უზრუნველყოფენ მათი შეზღუდული შესაძლებლობის სპეციფიკიდან გამომდინარე სამედიცინო მომსახურებას, პრევენციული დიაგნოსტიკისა და ადრეულ სტადიაში სამედიცინო ჩარევის ჩათვლით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მომსახურებას, რომელიც მიმართულია შესაძლებლობის შესაძლო შეზღუდვის მინიმუმამდე დაყვანისა და პრევენციისაკენ, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოხუცებში;

გ) შშმ პირებს ამ მომსახურებებს გაუწევენ რაც შეიძლება ახლოს მათ საცხოვრებელ ადგილთან, რაიონების ჩათვლით;

დ) დაავალდებულებენ ჯანდაცვის სფეროს თანამშრომლებს, რათა მათ მიერ შშმ პირებისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი არ განსხვავდებოდეს სხვა პირებისთვის გაწეული მომსახურების ხარისხისგან, რაც მოიცავს შშმ პაციენტის თავისუფალი და გაცნობიერებული თანხმობის მოპოვებას. ამ მიზნით წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების, ღირსების, ავტონომიისა და შშმ პირების საჭიროებების ცოდნას სახელმწიფო და კერძო ჯანდაცვის წარმომადგენლებისთვის განკუთვნილი მოსამზადებელი კურსების ორგანიზებისა და დეონტოლოგიის წესების ჩამოყალიბების მეშვეობით;

ე) დაზღვევის სფეროში კრძალავენ შეზღუდულ შესაძლებლობებზე დამყარებულ დისკრიმინაციას და ამ პირებისათვის შესაძლებელს ხდიან სამედიცინო დაზღვევას, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც ეს შესაძლებელია, სიცოცხლის დაზღვევას სამართლიან და ნორმალურ პირობებში;

ვ) არ დაუშვებენ სამედიცინო დახმარებაზე ან მკურნალობაზე, ასევე საკვებისა და სასმელის მიწოდებაზე უარის თქმას შეზღუდულ შესაძლებლობებზე დაფუძნებული დისკრიმინაციის გამო.

## მუხლი 26

### აბილიტაცია და რეაბილიტაცია

1. წევრი სახელმწიფოები შესაბამის და ეფექტურ ზომებს მიმართავენ, მათ შორის კოლეგიალური თანადგომის გამოყენებითაც, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა მიაღწიონ და შეინარჩუნონ მაქსიმალური დამოუკიდებლობა, სრულად განახორციელონ თავიანთი ფიზიკური, გონებრივი, სოციალური და პროფესიული პოტენციალი, ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ მიზნით წევრი სახელმწიფოები აყალიბებენ, აძლიერებენ და ავითარებენ

ადაპტაციისა და რეადაპტაციის მომსახურებებსა და პროგრამებს, კერძოდ კი ჯანდაცვის, დასაქმების, განათლებისა და სოციალური მომსახურების სფეროებში. ეს მომსახურებები და პროგრამები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) მათი განხორციელება უნდა მოხდეს რაც შეიძლება ადრეულ სტადიაზე და ეფუძნებოდეს თითოეულის საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების მრავალდარგობრივ შეფასებას;

ბ) საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მონაწილეობისა და ინტეგრაციის ხელშეწყობას, მოხალისეობის პრინციპის განხორციელებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცხოვრებელ ადგილთან რაც შეიძლება ახლოს, რეგიონების ჩათვლით;

2. წევრი სახელმწიფოები ხელს უწყობენ აბილიტაციისა და რეაბილიტაციის სფეროში მომუშავეთა საწყის და რეგულარულ პროფესიულ მომზადებასა და განვითარებას.

3. წევრი სახელმწიფოები ხელს უწყობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შექმნილ, აბილიტაციისა და რეაბილიტაციის დამხმარე საშუალებების და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას, ცოდნასა და გამოყენებას.

## **მუხლი 27**

### **შრომა და დასაქმება**

1. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის უფლებას სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, აღნიშნული მოიცავს საარსებო სახსრების თავისუფლად არჩეული ან შრომის ბაზარზე არსებული სამუშაოთი გამომუშავების შესაძლებლობის უფლებას და ისეთი სამუშაო გარემოს უფლებას, რომელიც არის ღია, ინკლუზიური და მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. წევრი სახელმწიფოები იცავენ და ხელს უწყობენ შრომის უფლების განხორციელებას, მათ შორის იმათთვისაც, რომელთა შესაძლებლობის შეზღუდვა მოხდა სამუშაოს შესრულებისას, სათანადო ზომების მიღებით, საკანონმდებლო ზომების ჩათვლით, რათა, სხვათა შორის:

ა) აკრძალონ დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება დასაქმების ყველა ფორმას, მათ შორის სამუშაოზე მიღების, დაქირავებისა და დასაქმების, დასაქმების ხანგრძლივობის, სამსახურებრივი წინსვლის პირობებს და შრომის უსაფრთხო და ჯანსაღ პირობებს;

ბ) დაიცვან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლიანი და ხელსაყრელი შრომის პირობებით სარგებლობის უფლება, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, რაც მოიცავს თანაბარ შესაძლებლობებს და თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარ ანაზღაურებას, შრომის უსაფრთხო და ჯანსაღ პირობებს, მათ შორის ძალადობისაგან დაცვასა და საჩივრის დაკმაყოფილებას;

გ) უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეეძლოთ შრომის და პროფკავშირული უფლებების განხორციელება სხვებთან თანასწორობის საფუძველზე;

დ) უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საერთო ტექნიკური და პროფესიული ორიენტაციის პროგრამების, დასაქმების სამსახურებისა და პროფესიული და უწყვეტი მომზადების ეფექტური ხელმისაწვდომობა;

ე) ხელი შეუწყონ შრომის ბაზარზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების შესაძლებლობებს და სამსახურებრივ წინსვლას, ასევე მათ დახმარებას სამუშაოს ძებნაში, მიღებაში, შენარჩუნებასა და დაბრუნებაში;

ვ) ხელი შეუწყონ თვითდასაქმების, მეწარმეობის, კოოპერატივების განვითარების, და საკუთარი ბიზნესის დაწყების შესაძლებლობების შექმნას;

ზ) დაასაქმონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სახელმწიფო სექტორში;

თ) ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კერძო სფეროში დასაქმებას შესაბამისი პოლიტიკისა და ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც შესაძლოა მოიცავდეს ეფექტურ სამოქმედო პროგრამებს, სტიმულირებასა და სხვა ღონისძიებებს ;

ი) უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამუშაო ადგილების შესაფერისი გონივრული მისადაგება

კ) ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ღია შრომის ბაზარზე სამუშაო გამოცდილების მიღებას;

ლ) ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილ პროფესიული რეაბილიტაციისა და კვალიფიკაციის აღდგენის, სამუშაოს შენარჩუნებისა და სამუშაოზე დაბრუნების პროგრამების განხორციელებას.

2. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არ აღმოჩნდნენ მონობაში ან სავალდებულო სამუშაოებზე და დაცულები იყვნენ, იძულებითი ან სავალდებულო შრომისაგან, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.

## **მუხლი 28**

### **ცხოვრების ადეკვატური დონე და სოციალური დაცვა**

1. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ოჯახების უფლებას ცხოვრების ადეკვატურ დონეზე, მათ შორის შესაბამის/ნორმალურ კვებაზე, ჩასაცმელსა და საცხოვრებელზე, და ცხოვრების პირობების განუწყვეტელ გაუმჯობესებაზე და იღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე განხორციელების დაცვისა და ხელშეწყობისათვის.

2. წევრი ქვეყნები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებას სოციალურ დაცვაზე და ამ უფლებით შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობაზე და იღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების განხორციელების დაცვისა და ხელშეწყობისათვის, კერძოდ/მათ შორის ზომებს:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, სუფთა წყლის მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის და შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული საჭიროების შესაბამისი და შესაძლებლობების შესაფერისი მომსახურების მოწყობილობების და სხვა დამხმარე საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, კერძოდ კი ქალების, გოგონებისა და მოხუცების, სოციალური დაცვის პროგრამებსა და სიღარიბის დაძლევის პროგრამებში ჩართვის უზრუნველყოფისათვის;

გ) სიღარიბეში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების მიღების უზრუნველყოფისათვის შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების, მათ შორის შესაბამისი სწავლების,

საკონსულტაციო, ფინანსური მხარდაჭერისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების ასანაზღაურებლად;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო საცხოვრებელი ფართით სარგებლობის პროგრამებში ჩართვის უზრუნველყოფისათვის;

ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საპენსიო გასაცემებისა და პროგრამების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.

## **მუხლი 29**

### **პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა**

წევრი სახელმწიფოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უზრუნველყოფენ პოლიტიკურ უფლებებს და ამ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე და ვალდებულებას იღებენ შემდეგზე:

ა) უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, შეეძლოთ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტური და სრული მონაწილეობა, უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლება და შესაძლებლობა, ხმა მისცენ ან კენჭი იყარონ (იყვნენ არჩეული). ამისათვის წევრი სახელმწიფოები, სხვა ზომებთან ერთად:

i) უზრუნველყოფენ, რომ საარჩევნო პროცედურები, მოწყობილობები და მასალების იყოს სათანადო, მისაწვდომი და, ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი;

ii) იცავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას, არჩევნებსა და რეფერენდუმებზე ხმა მისცენ ფარული კენჭისყრით, ზეწოლის გარეშე და წარმოადგინონ საკუთარი კანდიდატურა, ფაქტობრივად დაიკავონ თანამდებობა და შეასრულონ ნებისმიერი (თანამდებობრივი) ფუნქცია (საჯარო სამსახურში) სახელმწიფო მმართველობის ნებისმიერ საფეხურზე და საჭიროების შემთხვევაში ხელს უწყობენ დამხმარე და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას;

iii) უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, როგორც ამომრჩევლების, საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მათი მოთხოვნის საფუძველზე, აძლევენ ხმის მიცემის პროცესში მათ მიერვე არჩეული პირის დახმარების გამოყენების უფლებას;

ბ) აქტიურად შეუწყონ ხელი ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშუალება მიეცემათ, ეფექტურად და სრულყოფილად/სრულად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო (საზოგადოებრივი) საქმეების წარმოებაში, დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, და წაახალისონ მათი მონაწილეობა, სახელმწიფო (საზოგადოებრივი) საქმეებში, მათ შორის ხელი შეუწყონ:

i) იმ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ასოციაციებში ჩართვას, რომლებიც მუშაობენ ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების საკითხებზე, ასევე პოლიტიკური პარტიების საქმიანობასა და მართვაში მონაწილეობას;

ii) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებას და მათში გაწევრიანებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე წარმოდგენის მიზნით .

### **მუხლი 30**

#### **კულტურულ, რეკრეაციულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა**

1. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას, მონაწილეობა მიიღონ კულტურულ ცხოვრებაში სხვების თანაბრად და იღებენ ყველა სათანადო ზომას , რათა ამ პირებისათვის:

ა) კულტურულ საკითხებთან დაკავშირებული მასალა მათთვის ხელსაყრელ ფორმატში იყოს მისაწვდომი;

ბ) ტელეგადაცემები, ფილმები, თეატრალური წარმოდგენები და სხვა კულტურული ღონისძიებები მათთვის ხელსაყრელ ფორმატში იყოს მისაწვდომი;

გ) კულტურული ღონისძიებებისადგილები, როგორებიცაა თეატრები, მუზეუმები, კინოთეატრები, ბიბლიოთეკები, ტურისტული სააგენტოები და შესაძლებლობის ფარგლებში, ეროვნული მნიშვნელობის კულტურული ძეგლები და ადგილები, ხელმისაწვდომი იყოს.

2. წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა სათანადო ზომას, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეცეთ შემოქმედებითი, არტისტული და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და გამოხატვის საშუალება, რაც არა მხოლოდ ამ პირთა სარგებლობას, არამედ მთელი საზოგადოების გამდიდრებასაც ემსახურება.

3. წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა სათანადო ზომას, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, რათა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კანონმდებლობამ არ შეუქმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, , გაუმართლებელი ან დისკრიმინაციული სახის დაბრკოლებები კულტურულ საკითხებთან დაკავშირებული მასალის ხელმისაწვდომობაზე.

4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ, სხვების თანაბრად, თავიანთი კულტურული და ენობრივი თავისებურების აღიარებასა და მხარდაჭერაზე, შესტების ენისა და ყრუთა კულტურის ჩათვლით.

5. იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშუალება მიეცეთ, სხვების თანაბრად, მონაწილეობა მიიღონ რეკრეაციულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში, წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა სათანადო ზომას, რათა:

ა) მაქსიმალურად წაახალისონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობას ყველა დონის სპორტულ ღონისძიებაში;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშუალება მიეცეთ, მოაწყონ და მონაწილეობა მიიღონ სპეციალურად მათთვის განკუთვნილ რეკრეაციულ და სპორტულ ღონისძიებებში და ამ მიზნით წაახალისონ ამ პირთათვის, სხვების თანაბრად, სავარჯიშო, საწვრთნელი და სხვა მოწყობილობების მიწოდება;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომი იყოს სპორტული, რეკრეაციული და ტურისტული სანახაობების ადგილები;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს საშუალება მიეცეთ, მონაწილეობა მიიღონ, სხვა ბავშვების თანაბრად, გასართობ, რეკრეაციულ და სპორტულ ღონისძიებებში, მათ შორის სასკოლო სისტემის ფარგლებშიც;

ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშუალება ჰქონდეთ, ისარგებლონ იმათი მომსახურებით, ვინც ორგანიზებას უწევს რეკრეაციულ, ტურისტულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებების მოწყობას.

## **მუხლი 31**

### **სტატისტიკა და მონაცემთა შეგროვება**

1. წევრი სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, შეაგროვონ შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის სტატისტიკური მონაცემი და კვლევების შედეგები, რაც მათ საშუალებას მისცემს, ჩამოაყალიბონ და განახორციელონ ამ კონვენციის დასაწერად საჭირო პოლიტიკა. ამ ინფორმაციის შეგროვებისა და შენახვის პროცედურები:

ა) უნდა შეესაბამებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირადი ცხოვრების დაცვისა და პატივისცემისათვის აუცილებელ სამართლებრივ გარანტიებს, მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის ჩათვლით;

ბ) უნდა შეესაბამებოდეს იმ საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს, რომლებიც განაგებს სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გამოყენების სფეროში ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებებისა და ეთიკის პრინციპების დაცვას.

2. ამ მუხლის თანახმად შეგროვებული ინფორმაცია წევრი სახელმწიფოების მიერ საჭიროების მიხედვით გაანალიზდება და გამოიყენება ამ კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესაფასებლად და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი უფლებების განხორციელების დროს აღმოცენებული დაბრკოლებების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად.

3. წევრი სახელმწიფოები იღებენ ზემოხსენებული სტატისტიკური მონაცემების გავრცელებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა პირთათვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება.

## **მუხლი 32**

### **საერთაშორისო თანამშრომლობა**

1. წევრი სახელმწიფოები, წინამდებარე კონვენციის მიზნების მისაღწევად ეროვნულ დონეზე განხორციელებული ღონისძიებების გვერდით, აღიარებენ საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და ხელშეწყობის აუცილებლობას და ამისათვის ყველა შესაბამის და ეფექტურ გზას მიმართავენ, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენტურ რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, კერძოდ კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან პარტნიორობასაც. ამისათვის წევრი სახელმწიფოები შესაბამის ზომებს მიმართავენ, რათა:



ა) საერთაშორისო თანამშრომლობა, საერთაშორისო განვითარების პროგრამების ჩათვლით, ითვალისწინებდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მისაწვდომი იყოს მათთვის;

ბ) გააადვილონ და ხელი შეუწყონ შესაძლებლობების განვითარებას, მათ შორის ინფორმაციის, გამოცდილების, სასწავლო პროგრამებისა და პრაქტიკული ცოდნის გაზიარების მეშვეობით;

გ) გააადვილონ გამოკვლევებისა და მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მიღებისაკენ მიმართული თანამშრომლობა;

დ) საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ ტექნიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა, რაც მოიცავს დამხმარე ტექნოლოგიების შეძენას, საზოგადო სარგებლობაში დანერგვასა და ტექნოლოგიების გადაცემას.

2. ამ მუხლის დისპოზიციები არ ზღუდავს იმ ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას, რომლებიც ყოველ წევრ სახელმწიფოს წინამდებარე კონვენციის მიხედვით ეკისრება.

### **მუხლი 33**

#### **განხორციელება და მონიტორინგი ეროვნულ დონეზე**

1. წევრი სახელმწიფოები, თითოეულის მმართველობის სისტემის შესაბამისად, წინამდებარე კონვენციის განხორციელების საკითხებისათვის, სახელმწიფო ადმინისტრაციის შიგნით ასახელებენ ერთ ან რამდენიმე საკონტაქტო უწყებას და სხვადასხვა სექტორსა თუ დონეზე განხორციელებისათვის, სათანადოდ განიხილავენ სახელმწიფო ადმინისტრაციის ფარგლებში მაკოორდინირებელი მექანიზმის შექმნისა თუ დასახელების საკითხს.

2. წევრი სახელმწიფოები, თითოეულის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მოწყობის შესაბამისად, ინარჩუნებენ, აძლიერებენ, ასახელებენ ან ქმნიან წინამდებარე კონვენციის მხარდაჭერის, დაცვისა და მონიტორინგისათვის აუცილებელ სტრუქტურას, რომელიც, საჭიროების მიხედვით, მოიცავს ერთ ან რამდენიმე დამოუკიდებელ მექანიზმს. ამგვარი მექანიზმის დასახელების ან შექმნის დროს ისინი ითვალისწინებენ ადამიანის უფლებების დაცვისა და პოპულარიზაციის ეროვნული ინსტიტუტების სტატუსსა და მუშაობის პრინციპებს.

3. სამოქალაქო საზოგადოება, განსაკუთრებით კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციები ჩართულები უნდა იყვნენ და ფართოდ მონაწილეობდნენ მონიტორინგის პროცესში.

### **მუხლი 34**

#### **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი**

1. ქვემოთ გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად იქმნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“).

2. აღნიშნული კონვენციის ძალაში შესვლის მომენტისათვის კომიტეტი შედგება თორმეტი ექსპერტისაგან. კონვენციის დამატებითი სამოცი რატიფიკაციის ან მიერთების შემდეგ, კომიტეტის წევრთა რაოდენობა იზრდება ექვსით, რათა მაქსიმალურმა რაოდენობამ თვრამეტს მიაღწიოს.

3. კომიტეტის წევრები მოქმედებენ ინდივიდუალური უფლებამოსილების ფარგლებში. ისინი უნდა ხასიათდებოდნენ მაღალი მორალური თვისებებით, უნდა ჰქონდეთ ამ კონვენციის სფეროში მუშაობის გამოცდილება და აღიარებული კომპეტენცია. კანდიდატის დასახელებისას წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ამ კონვენციის 4.3 მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

4. კომიტეტის წევრები აირჩევიან წევრი სახელმწიფოების მიერ, თანაბარი გეოგრაფიული განაწილების, სხვადასხვა ცივილიზაციისა და სამართლებრივი სისტემის მიმართ კუთვნილების, ასევე გენდერული ბალანსისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ექსპერტების მონაწილეობის გათვალისწინებით.

5. კომიტეტის წევრების არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით, წევრი სახელმწიფოების კონფერენციაზე, მათ მიერ წარმოდგენილი საკუთარი მოქალაქეების სიიდან. კონფერენციის მსვლელობისას, რომლის ქვორუმსაც წევრი სახელმწიფოების ორი მესამედი შეადგენს, კომიტეტის წევრად არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ ხმების ყველაზე დიდ რაოდენობას და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას.

6. თავდაპირველი არჩევნები ტარდება აღნიშნული კონვენციის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა. ყოველ არჩევნებამდე სულ მცირე ოთხი თვით ადრე, გაეროს გენერალური მდივანი წერილობით სთხოვს მონაწილე სახელმწიფოებს, ორი თვის ვადაში წარმოადგინონ საკუთარი კანდიდატები. ამის შემდეგ გენერალური მდივანი ანბანის მიხედვით ამზადებს ყველა დასახელებული პირის სიას, თითოეულისათვის იმ წევრი სახელმწიფოს მითითებით, რომელმაც ეს პირი დაასახელა და წარუდგენს მას მონაწილე სახელმწიფოებს.

7. კომიტეტის წევრები აირჩევიან ოთხი წლის ვადით. მათი ხელახალი არჩევა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ, თუმცა პირველი არჩევნების დროს არჩეული წევრებიდან ექვსის უფლებამოსილება ორი წლის შემდეგ იწურება. პირველი არჩევნების ჩატარებიდან უმოკლეს ხანში, მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კონფერენციის თავჯდომარე წილისყრით გამოავლენს ამ ექვს წევრს.

8. კომიტეტის ექვსი დამატებითი წევრის არჩევა ხდება ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი დებულებების დაცვით, ჩვეულებრივი არჩევნების ჩატარების დროს.

9. კომიტეტის წევრის გარდაცვალების, გადადგომის ან ნებისმიერი სხვა მიზეზით მასზე დაკისრებული ფუნქციების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახელმწიფო, რომელმაც ეს წევრი დაასახელა, ამ უკანასკნელის უფლებამოსილების ამოწურვამდე შეცვლის მას სხვა პირით, რომელიც ფლობს სათანადო კვალიფიკაციას და აკმაყოფილებს ამ მუხლის შესაბამისი დებულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

10. კომიტეტი თავად განსაზღვრავს საკუთარი საქმიანობის წესებს.

11. გაეროს გენერალური მდივანი, ამ კონვენციით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულების მიზნით, უზრუნველყოფს კომიტეტს საჭირო თანამშრომლებითა და შესაძლებლობებით და ნიშნავს კომიტეტის პირველ სხდომას.

12. გენერალური ასამბლეის დამტკიცებით, ამ კონვენციის შესაბამისად შექმნილი კომიტეტის წევრები იღებენ გასამრჯელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რესურსებიდან იმ პირობებში, რომლებსაც, კომიტეტის მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობების მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაზღვრავს გენერალური ასამბლეა.

13. კომიტეტის წევრები სარგებლობენ გაეროს მისიების ექსპერტთა იმ შესაძლებლობებით, პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, რომლებიც გაეროს პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ კონვენციის შესაბამისი დებულებებითაა დადგენილი.

### **მუხლი 35**

#### **წევრი სახელმწიფოების მოხსენებები**

1. თითოეული წევრი სახელმწიფო, მისთვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის მომენტიდან ორი წლის განმავლობაში, გაეროს გენერალური მდივნის მეშვეობით, წარუდგენს კომიტეტს სავალდებულო მოხსენებას ამ კონვენციით აღებული ვალდებულების განხორციელებისათვის გატარებული ღონისძიებებისა და ამ თვალსაზრისით მიღწეული წარმატებების შესახებ.

2. ამის შემდეგ წევრი სახელმწიფოები მოხსენებებს წარადგენენ სულ მცირე ყოველ ოთხ წელიწადში, ხოლო კომიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს.

3. კომიტეტს შეუძლია, მოხსენების შინაარსთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს სახელმძღვანელო პრინციპები.

4. წევრ სახელმწიფოებს, რომლებმაც წარადგინეს პირველი სავალდებულო მოხსენება, შემდგომ მოხსენებებში შეუძლიათ აღარ გაიმეორონ ადრე წარმოდგენილი ინფორმაცია. წევრი სახელმწიფოების მიერ კომიტეტისათვის წარსადგენი მოხსენების მზადების პროცესი უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე და სათანადოდ ითვალისწინებდეს კონვენციის 4.3 მუხლით დადგენილ დებულებებს.

5. მოხსენებაში შესაძლოა აღინიშნოს ის ფაქტორები და სირთულეები, რომლებმაც გავლენა მოახდინა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულების განხორციელებაზე.

## **მუხლი 36**

### **მოხსენების განხილვა**

1. კომიტეტის განიხილავს თითოეულ მოხსენებას, საკუთარი შეხედულებისამებრ აყალიბებს წინადადებებსა და ზოგად რეკომენდაციებს და გადასცემს მათ შესაბამის წევრ სახელმწიფოს. საპასუხოდ, ამ უკანასკნელს შეუძლია კომიტეტს მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის. კომიტეტმა წევრი სახელმწიფოსაგან შეიძლება მოითხოვოს აღნიშნული კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

2. იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფო მნიშვნელოვნად დააგვიანებს მოხსენების წარდგენას, კომიტეტმა, მისთვის ცნობილი სარწმუნო ინფორმაციის საფუძველზე, შეიძლება აცნობოს შესაბამის სახელმწიფოს აღნიშნული კონვენციის განხორციელების ადგილზე შემოწმების საჭიროების შესახებ, თუკი შესაბამისი მოხსენება გაფრთხილებიდან სამი თვის ვადაში არ იქნა წარდგენილი. კომიტეტს უფლება აქვს, ჩართოს შესაბამისი წევრი სახელმწიფო შემოწმების პროცესში. წევრი სახელმწიფოს მიერ გაფრთხილების საპასუხოდ მოხსენების წარდგენის შემთხვევაში გამოიყენება ამ მუხლის პირველი ნაწილი.

3. გაეროს გენერალური მდივანი უზრუნველყოფს მოხსენებების ყველა წევრი სახელმწიფოსათვის კომუნიკაციას.

4. წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთ ქვეყნებში უნდა უზრუნველყონ მოხსენებისა და მის საპასუხოდ წარმოდგენილი წინადადებებისა და ზოგადი რეკომენდაციების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა.

5. კომიტეტს, თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია სპეციალიზებულ ინსტიტუტებს, ფონდებს, გაეროს პროგრამებსა და სხვა უფლებამოსილ ორგანიზმებს გადასცეს წევრ სახელმწიფოთა მოხსენებები, რომლებშიც მოცემულია რჩევებისა თუ ტექნიკური დახმარების თხოვნა ან საჭიროება, რასაც შეხედულებისამებრ დაურთავს საკუთარ დასკვნებსა და რეკომენდაციებს ამ თხოვნასთან ან საჭიროებასთან დაკავშირებით, რათა მათზე პასუხი მოიძებნოს.

## **მუხლი 37**

### **წევრ სახელმწიფოებსა და კომიტეტს შორის თანამშრომლობა**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ კომიტეტთან და დაეხმარონ მის წევრებს თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებაში.

2. წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას, კომიტეტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს, მათ შორის საერთაშორისო თანამშრომლობის გზით, წინამდებარე კონვენციის განხორციელებისათვის აუცილებელი ეროვნული მექანიზმების გაძლიერების მეთოდებსა და საშუალებებზე.

## **მუხლი 38**

### **კომიტეტის ურთიერთობა სხვა ორგანიზმებთან**

ამ კონვენციის ეფექტური განხორციელებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერისათვის:

ა) სპეციალიზებულ ინსტიტუტებსა და გაეროს სხვა ორგანოებს, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, უფლება აქვთ, წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ აღნიშნული კონვენციის დადგენილებათა განხორციელების პროცესში. კომიტეტს შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ, მოიწვიოს სპეციალიზებული ინსტიტუტები და ყველა სხვა ორგანიზმი, რომლებიც, მისი აზრით, კომპეტენტურები არიან, თავიანთი უფლებამოსილების სფეროში, კონვენციის განხორციელების შესახებ აზრის გამოთქმისათვის. კომიტეტს ასევე შეუძლია, სთხოვოს სპეციალიზებულ ინსტიტუტებსა და გაეროს სხვა ორგანიზმებს მოხსენების მომზადება კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებით იმ სფეროებში, რომლებიც მათ უფლებამოსილებაში შედის.

ბ) კომიტეტს, თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, შეუძლია, მოეთათბიროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე შექმნილ ორგანოებს, რათა უზრუნველყოს მათ მიერ მომზადებული ანგარიშების, რჩევებისა და ზოგადი რეკომენდაციების კოორდინირება და თავიდან აიცილოს უფლებამოსილებების დუბლირება და გადაფარვა.

## **მუხლი 39**

### **კომიტეტის მოხსენება**

კომიტეტი ორ წელიწადში ერთხელ თავისი საქმიანობის შესახებ მოხსენებას წარუდგენს გენერალურ ასამბლეასა და სოციალურ და ეკონომიკურ საბჭოს და საკუთარი შეხედულებისამებრ, წევრი სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი ანგარიშებისა და ინფორმაციის განხილვის საფუძველზე, აყალიბებს ზოგად რეკომენდაციებსა და წინადადებებს. ეს რეკომენდაციები და წინადადებები თან ერთვის კომიტეტის მოხსენებას და მოიცავს, არსებობის შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოების შენიშვნებსაც.

## **მუხლი 40**

### **წევრ სახელმწიფოთა კონფერენცია**

1. წევრი სახელმწიფოები რეგულარულად მართავენ კონფერენციებს მოცემული კონვენციის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით.

2. გაეროს გენერალური მდივანი, ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან ექვსი თვის თავზე, იწვევს წევრ სახელმწიფოთა კონფერენციას. გაეროს გენერალური მდივანი ყოველ მომდევნო შეხვედრას ორ წელიწადში ერთხელ ან ხელმომწერ სახელმწიფოთა კონფერენციის დროს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ნიშნავს.

## **მუხლი 41**

### **დეპოზიტარი**

გაეროს გენერალური მდივანი არის წინამდებარე კონვენციის დეპოზიტარი.

## **მუხლი 42**

### **ხელმოწერა**

წინამდებარე კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა ყველა სახელმწიფოსა და რეგიონული ინტეგრაციის ორგანიზაციებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათაო ოფისში, 2007 წლის 30 მარტიდან.

## **მუხლი 43**

### **ვალდებულების აღება**

ხელმომწერმა სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ წინამდებარე კონვენციის რატიფიკაცია, ხოლო ხელმომწერმა რეგიონული ინტეგრაციის ორგანიზაციებმა - მისი ოფიციალური დამტკიცება. კონვენციასთან მიერთება შეუძლია ნებისმიერ სახელმწიფოს ან რეგიონული ინტეგრაციის ორგანიზაციას, რომლებსაც მასზე ხელი არ მოუწერიათ.

## **მუხლი 44**

### **რეგიონული ინტეგრაციის ორგანიზაციები**

1. “რეგიონული ინტეგრაციის ორგანიზაციები” გულისხმობს ორგანიზაციებს, რომლებიც შექმნილია მოცემული რეგიონის სუვერენული სახელმწიფოების მიერ და რომლებსაც წევრმა სახელმწიფოებმა უფლებამოსილება გადასცეს ამ კონვენციის სფეროში. შესაბამისად, ამ ორგანიზაციებმა უნდა აუწყონ დეპოზიტარს მათ უფლებამოსილებებში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

2. კონვენციაში გამოყენებული ტერმინი “წევრი სახელმწიფოები” ამ ორგანიზაციებს მათი უფლებამოსილებების ფარგლებში შეეხება.

3. 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და და 47-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების გამოყენებისას არ ჩაითვლება რეგიონული ინტეგრაციის ორგანიზაციების მიერ დეპონირებული არცერთი სიგელი.

4. წევრ სახელმწიფოთა კონფერენციაზე, რეგიონული ინტეგრაციის ორგანიზაციებმა, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, შეიძლება ისარგებლონ ხმის მიცემის უფლებით. ორგანიზაციას იმდენი ხმა აქვს, რამდენი კონვენციის წევრი სახელმწიფოცაა მასში გაწევრიანებული. ორგანიზაციამ არ უნდა გამოიყენოს ხმის უფლება, თუკი რომელიმე მისი წევრი სახელმწიფო იყენებს ამ უფლებას და პირიქით.

## **მუხლი 45**

### **ძალაში შესვლა**

1. ეს კონვენცია ძალაში შევა რატიფიკაციის ან მიერთების მეოცე სიგელის დეპონირებიდან ოცდამეათე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოს ან რეგიონული ინტეგრაციის ორგანიზაციისათვის, რომელიც ახდენს ამ კონვენციის რატიფიკაციას ან დამტკიცებას ან უერთდება მას მეოცე სიგელის დეპონირების შემდგომ, კონვენცია ძალაში შედის მისი სიგელის დეპონირებიდან ოცდაათი დღის შემდეგ.

## **მუხლი 46**

### **დათქმები**

1. დაუშვებელია კონვენციის ძირითად მიზნებთან და ამოცანებთან შეუთავსებელი დათქმების გაკეთება.

2. ყოველთვის შეიძლება გაკეთებული დათქმების მოხსნა.

## **მუხლი 47**

### **ცვლილებები**

1. ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია მოამზადოს და გაეროს გენერალურ მდივანს განსახილველად წარუდგინოს ამ კონვენციაში შესატანი ცვლილება. გენერალური მდივანი შემოსული ცვლილების შესახებ ინიციატივას წარუდგენს წევრ სახელმწიფოებს და თხოვნით მიმართავს მათ, აუწყონ, თვლიან თუ არა საჭიროდ, აღნიშნული ცვლილების განხილვის მიზნით, წევრი სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევას. იმ შემთხვევაში, თუ მიმართვიდან ოთხ თვეში წევრი სახელმწიფოების სულ მცირე ერთმა მესამედმა მხარი დაუჭირა კონფერენციის ჩატარებას, გენერალური მდივანი გაეროს ეგიდით მოიწვევს წევრი სახელმწიფოების კონფერენციას. დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე წევრი სახელმწიფოების ორი მესამედის მიერ მიღებულ ნებისმიერ ცვლილებას გენერალური მდივანი ჯერ გენერალურ ასამბლეას წარუდგენს დასამტკიცებლად, ხოლო შემდეგ წევრ სახელმწიფოებს - მისაღებად.

2. პირველი პუნქტის თანახმად მიღებული და დამტკიცებული ცვლილება ძალაში შედის იმ თარიღიდან ოცდამეათე დღეს, როცა ცვლილების დამტკიცების მომენტისათვის არსებულ წევრ სახელმწიფოთა ორი მესამედის მიერ მოხდება მისი მიღების სიგელების დეპონირება. ცვლილება მხოლოდ იმ წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომელთაც იგი მიიღეს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული და დამტკიცებული ის ცვლილებები, რომლებიც მხოლოდ 34-ე, 38-ე, 39-ე და მე-40 მუხლებს ეხება, წევრი სახელმწიფოების კონფერენციაზე კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, შეიძლება ძალაში შევიდეს ყველა წევრ სახელმწიფოსთან მიმართებაში იმ თარიღიდან ოცდამეათე დღეს, როცა ცვლილებების დამტკიცების მომენტისათვის არსებულ წევრ სახელმწიფოთა ორი მესამედის მიერ მოხდება მათი მიღების სიგელების დეპონირება.

## **მუხლი 48** **დენონსაცია**

წევრ სახელმწიფოს წინამდებარე კონვენციის დენონსაცია გაეროს გენერალური მდივნისადმი მიმართული წერილობითი შეტყობინებით შეუძლია. დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთ წელიწადში.

## **მუხლი 49** **მისაწვდომი ფორმატი**

აღნიშნული კონვენციის ტექსტი უნდა მომზადდეს მისაწვდომ ფორმატში.

## **მუხლი 50** **აუთენტური ტექსტი**

წინამდებარე კონვენციის არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ტექსტები ერთნაირად აუთენტურია.

ზემოაღნიშნულის დასტურად, ქვემოთ ხელისმომწერებმა, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას.